

MONUMENTA IURIS

ესპანეთის მონარქიის 1812 წლის 19 მარტის კონსტიტუცია

ესპანეთის მეფე, დონ ფერდინანდ მეშვიდე, ღვთის შემწეობითა და ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციის ძალით, ხოლო მისი არყოფნისა და ტყვეობაში ყოფნის შემთხვევაში, გენერალური და საგანგებო კორტესების მიერ დანიშნული სარეგენტო ამცნობს ყველას, ვისაც ეს ეხება, რომ აღნიშნულმა კორტესებმა, დეკრეტის საფუძველზე, დაამტკიცა და მიიღო:

ესპანეთის მონარქიის კონსტიტუცია

*ყოვლისშემძლე ღმერთის, მამის, ძისა და სულიწმიდის, სამყაროს
შემოქმედისა და უზენაესი კანონმდებლის სახელით.*

ესპანელი ერის გენერალური და საგანგებო კორტესები დარწმუნებულია რა, დეტალური მოკვლევისა და ჯანსაღი მსჯელობის საფუძველზე, რომ ამ მონარქიის უძველესი, ძირითადი კანონები, მასში გათვალისწინებული სათანადო დამატებითი ზომებითა და უსაფრთხოების ღონისძიებებით, რომლებიც საჭიროა ამ კანონების სტაბილური და მუდმივი აღსრულების უზრუნველსაყოფად, სრულიად შეესაბამება იმ დიადი მიზნის მიღწევას, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანი ერის დიდების, კეთილდღეობისა და ბედნიერების შენარჩუნებას, ამტკიცებს მოცემულ კონსტიტუციას სახელმწიფოს საუკეთესო მართვისა და რეგულარული ადმინისტრირების უზრუნველყოფისათვის.

პარი I. ესპანელი ერისა და ესპანელების შესახებ

თავი I. ესპანელი ერის შესახებ

მუხლი 1. ესპანელი ერი შედგება ორივე ნახევარსფეროს ყველა ესპანელისაგან.

მუხლი 2. ესპანელი ერი თავისუფალი და დამოუკიდებელი ერია და ის არ არის და არ შეიძლება იყოს მამის საგვარეულო ხაზით გადაცემული რომელიმე ოჯახის ან ადამიანის საგვარეულო მემკვიდრეობა.

მუხლი 3. ერი უზენაესი ძალაუფლების მფლობელია; შესაბამისად, მხოლოდ ერს აქვს უფლება შექმნას თავისი ძირითადი კანონები.

მუხლი 4. გონივრულად შემუშავებული და სამართლიანი კანონების საფუძველზე ერი ვალდებულია შეინარჩუნოს და დაიცვას თავისი სამოქალაქო თავისუფლება, ქონება და სხვა უფლებები.

თავი II. ქსპანელის შესახებ

მუხლი 5. ისინი, ვინც ხასიათდებიან ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან სხვა თვისებით, არიან ქსპანელები, კერძოდ:

1. ქსპანეთის სამფლობელოებში დაბადებული და მცხოვრები ყველა თავისუფალი ადამიანი და მისი შვილები.
2. ყველა უცხოელი, რომელსაც კორტესებმა მიანიჭა მოქალაქეობა.
3. ისინი, ვინც ასეთი მოქალაქეობის მინიჭების გარეშე, მაგრამ კანონის საფუძველზე, ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მონარქიის რომელიმე ნაწილში.
4. ქსპანეთის სამფლობელოებში ყველა განთავისუფლებული ადამიანი, მათი განთავისუფლების მომენტიდან.

მუხლი 6. ქსპანელის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა, შეიყვაროს თავისი ქვეყანა, გამოიჩინოს ჰუმანურობა და სამართლიანობა.

მუხლი 7. თითოეული ქსპანელის მოვალეობაა, იყოს კონსტიტუციის ერთგული, დაიცვას კანონები და პატივი სცეს კანონიერ ხელისუფლებას.

მუხლი 8. ის ასევე ვალდებულია, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადები.

მუხლი 9. ასევე, როცა კანონი ამას მოითხოვს, ხელში აიღოს იარაღი თავისი ქვეყნის დასაცავად.

პარი II. ესპანეთის ტერიტორიის, რელიგიის და ესპანეთის მთავრობისა და ესპანეთის მოქალაქეების შესახებ

თავი I. ესპანეთის ტერიტორიის შესახებ

მუხლი 10. ესპანეთის ტერიტორია ნახევარკუნძულზე, მის სამფლობელოებთან და მომიჯნავე კუნძულებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: არაგონი, ასტურია, ძველი და ახალი კასტილია, კატალონია, კორდობა, ექსტრემადურა, გალისია, გრანადა, ხაენი, ლეონი, მოლინა, მურსია, ნავარა, ბასკეთის პროვინცია, სევილია და ვალენსია; ბალეარი და კანარის კუნძულები, აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მდებარე სხვა სამფლობელოებთან ერთად, ახალი ესპანეთი და ახალი გალისია და იუკატანის ნახევარკუნძული, გვატემალა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის შიდა პროვინციები, კუნძული კუბა ორი ფლორიდით, კუნძული სანტა დომინგოს ესპანური მხარე, კუნძული პუერტო-რიკო, მათთან და კონტინენტთან მომიჯნავე კუნძულებთან ერთად ორივე ზღვაში; კუნძულები სამხრეთ ამერიკაში: ახალი გრანადა, ვენესუელა, პერუ, ჩილე, რიო-დე-ლა-პლატას პროვინციები და წყნარი და ატლანტის ოკეანეების ყველა მომიჯნავე კუნძული; აზიაში: ფილიპინების კუნძულები და მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიები.

მუხლი 11. თუ ერის პოლიტიკური გარემოებები ამის საშუალებას იძლევა, კონსტიტუციური კანონის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ესპანეთის უფრო შესაფერისი ტერიტორიული დაყოფა.

თავი II. რელიგიის შესახებ

მუხლი 12. რომაული კათოლიკური და სამოციქულო რელიგია, ერთადერთი ქრმმარიტი რელიგია, არის და ყოველთვის იქნება ესპანელი ერის რელიგია; ხელისუფლება იცავს მას გონივრული და სამართლიანი კანონებით და კრძალავს რაიმე სხვა რელიგიის გამოყენებას.

თავი III. მთავრობის შესახებ

მუხლი 13. ხელისუფლებას მიზნად აქვს დასახული ერის ბედნიერება, რადგან ყველა პოლიტიკური გაერთიანების ერთადერთი მიზანი მისი ყველა წევრის კეთილდღეობაა.

მუხლი 14. ესპანელი ერის მმართველობა არის მემკვიდრეობითი მონარქია, რომელიც რეგულირდება კანონებით.

მუხლი 15. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის კორტესებს, მეფესთან ერთად.

მუხლი 16. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს.

მუხლი 17. სასამართლო ხელისუფლებას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში ახორციელებენ კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოები.

თავი IV. ესპანელი მოსახლეობის უფლებები

მუხლი 18. მოქალაქეები, რომლებიც იშვნენ ესპანელი მშობლებისგან ესპანეთის სამფლობელოების ნებისმიერ ნაწილში და ცხოვრობენ აღნიშნულ სამფლობელოებში, არიან ესპანეთის მოქალაქეები.

მუხლი 19. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უკვე სარგებლობენ ესპანელების უფლებებით, კორტესებისგან იღებენ მოქალაქეობის მოწმობებს.

მუხლი 20. ასეთი მოწმობის მისაღებად უცხო ქვეყნის მოქალაქე დაქორწინებული უნდა იყოს ესპანელ ქალზე და ესპანეთის სამფლობელოებში შემოტანილი უნდა ჰქონდეს რაიმე სარფიანი გამოგონება, ან შექმნილი უნდა ჰქონდეს რაიმე წარმოება, ან ფლობდეს უძრავ ქონებას, რომლისთვისაც ის იხდის პირდაპირ გადასახადებს, ან უნდა აწარმოებდეს ვაჭრობას და ჰქონდეს კორტესების მიერ საკმარისად მიჩნეული საკუთარი მარაგი, ან განეული ჰქონდეს ერისთვის ხელსაყრელი მომსახურება, ან ერის დასაცავად განკუთვნილი სამსახური.

მუხლი 21. ასევე, ესპანეთის მოქალაქეები არიან პირები, რომლებიც ესპანეთის სამფლობელოებში დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების კანონიერი შვილები არიან, რომლებიც არასოდეს გასულან საზღვრებს გარეთ ხელისუფლების ნებართვის გარეშე, არიან ოცდაერთი წლის სრულწლოვანები და ცხოვრობენ აღნიშნული სამფლობელოების ნებისმიერ ნაწილში და იკავებენ ნებისმიერ თანამდებობას, გააჩნიათ ნებისმიერი პროფესია ან იციან ნებისმიერი სარფიანი ხელობა.

მუხლი 22. აფრიკაში დაბადებულ ნებისმიერი წარმომავლობისა თუ წარმოშობის ესპანელს შეუძლია მიიღოს მოქალაქეობა საკუთარი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით; ხოლო კორტესები ანიჭებს მოქალაქეობის მოწმობებს მათ, ვინც ქვეყანას გაუწევინა მნიშვნელოვანი სამსახური, ან გამოიჩინეს ნიჭით, საქმიან-

ნობითა და კარგი რეპუტაციით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან კანონიერი ქორწინებით შეუღლებული თავისუფალი მშობლების შვილები, დაქორწინებულნი არიან თავისუფალ ქალზე და ცხოვრობენ ესპანეთის სამფლობელოებში და ფლობენ პროფესიას, ეწევიან საქმიანობას ან იციან სარფიანი ხელობა.

მუხლი 23. მხოლოდ მოქალაქეებს აქვთ უფლება დაიკავონ სამოქალაქო თანამდებობები და აირჩიონ პირები ამ თანამდებობების დასაკავებლად, როცა ამას კანონი მოითხოვს.

მუხლი 24. ესპანეთის მოქალაქეობის უფლებები უქმდება:

1. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში;
2. უცხო ქვეყნის ხელისუფლებისგან დასაქმების უფლების მოპოვების შემთხვევაში;
3. ფიზიკური სასჯელის ან უღირსი საქციელისთვის სასჯელის შეფარდების შემთხვევაში, თუ კომპეტენტურმა ორგანომ მას არ დაუბრუნა მისი სამოქალაქო უფლებები;
4. ხელისუფლებისგან მითითების ან ნებართვის მიღების გარეშე ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში ესპანეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ცხოვრების შემთხვევაში.

მუხლი 25. მოქალაქეობის უფლებები წყდება:

1. მორალური ან ფიზიკური ქმედუუნარობის გამო გაცემული სასამართლოს განკარგულების საფუძველზე;
2. გაკოტრების ან ხაზინის წინაშე დავალიანების გამო;
3. შინა მომსახურების გამო;
4. დასაქმების, პროფესიის ან გავრცელებული საარსებო საშუალებების არქონის გამო;
5. სისხლისსამართლებრივი დევნის გამო;
6. 1830 წლიდან და შემდგომ პერიოდში წერა-კითხვის შეუძლებლობის გამო.

მუხლი 26. მოქალაქეობის უფლებები შეიძლება გაუქმდეს ან შეწყდეს მხოლოდ ბოლო ორ მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში.

პარი III. კორტესების შესახებ

თავი I. კორტესების მოწვევის წესი

მუხლი 27. კორტესები არის ერის ყველა იმ წარმომადგენლის კრება, რომლებიც ინიშნებიან მოქალაქეების მიერ, ქვემოთ აღწერილი წესით.

მუხლი 28. ეროვნულ წარმომადგენლობას ორივე ნახევარსფეროში ერთი საფუძველი გააჩნია.

მუხლი 29. ეს საფუძველი არის ხალხი, რომელიც შედგება ადგილობრივებისგან, რომელთა მშობლები და წინაპრები დაიბადნენ ესპანეთის სამფლობელოებში და იმ ადამიანებისგან, ვინც მიიღო მოქალაქეობა კორტესებისგან, ასევე მათგან, ვინც აღნიშნულია 21-ე მუხლში.

მუხლი 30. ევროპის სამფლობელოების მოსახლეობის აღწერა იწყება 1797 წლის მოსახლეობის აღწერიდან და ის ძალაშია ახალი აღწერის ჩატარებამდე: ასევე ტარდება ზღვისიქითა სამფლობელოების მოსახლეობის აღწერა; დღეისათვის, მათი მოსახლეობის რაოდენობა გამოითვლება ბოლოს ჩატარებულ აღწერებს შორის ყველაზე უტყუარი აღწერის მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 31. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც შეადგენს სამოცდაათ ათას სულს, ირჩევს ერთ დეპუტატს, რომელიც წარმოადგენს მათ კორტესებში, 29-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 32. თუ რამდენიმე პროვინციას შორის მოსახლეობის განაწილების შემდეგ რომელიმე მათგანში ოცდათხუთმეტი ათასი სულით მეტი იქნება, ისინი ნიშნავენ სხვა დეპუტატს ისეთივე წესით, თითქოს ის დანიშნული იყოს სამოცდაათი ათასი სული მოსახლის მიერ: მაგრამ თუ მათი რაოდენობა არ აღემატება ოცდათხუთმეტი ათასს, მათ არ აქვთ უფლება დანიშნონ დეპუტატი.

მუხლი 33. ნებისმიერი პროვინცია, რომლის მოსახლეობა არ აღწევს სამოცდაათი ათასს, მაგრამ არ არის სამოც ათასზე ნაკლები, ნიშნავს დეპუტატს; მაგრამ, თუ მოსახლეობა ამ რაოდენობასაც ვერ აღწევს, ეს რაოდენობა დაემატება მომდევნო პროვინციის მოსახლეობის რაოდენობას, რათა საჭირო რაოდენობა შეივსოს სამოცდაათი ათასამდე. კუნძული სანტა დომინგო გამონაკლისია ამ მუხლის დებულებებიდან და აქ დეპუტატი ინიშნება მისი მოსახლეობის რაოდენობის გაუთვალისწინებლად.

თავი II. კორტესაჟში დეპუტაციის არჩევის შესახებ

მუხლი 34. ამომრჩეველთა კრებები იმართება სამრევლოებში, ოლქებსა და პროვინციებში კორტესებში დეპუტაციის არჩევის მიზნით.

თავი III. ამომრჩეველთა კრებების შესახებ სამრევლოებში

მუხლი 35. სამრევლოების ამომრჩეველთა კრებებში მონაწილეობს შესაბამის სამრევლოში მცხოვრები ყველა მოქალაქე, თეთრი სამღვდელოების ჩათვლით.

მუხლი 36. ნახევარკუნძულზე, კუნძულებსა და მომიჯნავე სამფლობელოებში, ეს კრებები ყოველთვის იმართება იმ წლის ოქტომბრის თვის პირველ კვირა დღეს, რომელიც მოსდევს უახლოესი კორტესების სხდომას.

მუხლი 37. ზღვისიქითა პროვინციებში კრებები ტარდება დეკემბრის თვის პირველ კვირა დღეს, კორტესების სხდომამდე თხუთმეტი თვით ადრე. ორივე შემთხვევაში წინასწარი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს მაგისტრატების მიერ.

მუხლი 38. სამრევლოს კრებების დროს ყოველ ორას მოსახლეზე ინიშნება ერთი ამომრჩეველი.

მუხლი 39. თუ სამრევლოს მცხოვრებთა რაოდენობა სამასზე მეტია, ისინი, თუმცა არ არიან ოთხასი, ნიშნავენ ორ ამომრჩეველს; თუ მათი რაოდენობა ხუთასზე მეტია, ნიშნავენ სამ ამომრჩეველს, თუმცა მათი რაოდენობა არ უნდა იყოს ექვსასი; და ასე შემდეგ, ასეთი თანმიმდევრობით.

მუხლი 40. სამრევლოებში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა არ შეადგენს ორასს, მაგრამ არ არის ას ორმოცდაათზე ნაკლები, ისინი მაინც ნიშნავენ ერთ ამომრჩეველს; ხოლო იმ სამრევლოების მცხოვრებნი, რომელთა მოსახლეობის რაოდენობაც არ შეადგენს ას ორმოცდაათს, ერთიანდებიან მომდევნო მრევლის მცხოვრებლებთან და ისინი ერთად ირჩევენ ერთ ან რამდენიმე ამომრჩეველს, მათი რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 41. სამრევლოს კრება ხმათა უმრავლესობით ირჩევს თერთმეტ კომისარს, რომლებიც ასახელებენ სამრევლოს ერთ ამომრჩეველს.

მუხლი 42. თუ სამრევლოს კრებამ უნდა დაასახელოს ორი ამომრჩეველი, მან უნდა აირჩიოს ოცდაერთი კომისარი, ხოლო სამი კანდიდატურის დასახელების შემთხვევაში, მან უნდა აირჩიოს ოცდათერთმეტი კომისარი; ხოლო გაურკვევ-

ლობის თავიდან აცილების მიზნით, კომისართა რაოდენობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ოცდათერთმეტს.

მუხლი 43. უნდა აღინიშნოს, რომ პატარა ტერიტორიებისთვის მეტი ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით იმ სამრევლოებმა, რომლებშიც ოცი მოსახლეა, უნდა დაასახელონ ერთი კომისარი; მათ, სადაც ოცდაათიდან ორმოცამდე მოსახლეა, უნდა დაასახელონ ორი კომისარი; ხოლო, მათ, სადაც ორმოცდაათიდან სამოცამდე მოსახლეა, უნდა დაასახელონ სამი კომისარი და ასე შემდეგ, ასეთი თანმიმდევრობით. ის სამრევლოები, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ოცს არ აღწევს, ერთი კომისრის ასარჩევად ერთიანდებიან მომდევნო სამრევლოსთან.

მუხლი 44. მცირე სამრევლოს ამგვარად დასახელებული კომისრები იკრიბებიან მათთვის ყველაზე ხელსაყრელ ქალაქში და თერთმეტი ან, სულ მცირე, ცხრა ხმით ირჩევენ სამრევლოს ერთ ამომრჩეველს. თუ მათი რაოდენობა შეადგენს ოცდაერთს ან, სულ მცირე, ჩვიდმეტს, ისინი ირჩევენ სამრევლოს ორ ამომრჩეველს; თუ კრებას ესწრება ოცდათერთმეტი და არანაკლებ ოცდახუთი კომისარი, ისინი ირჩევენ სამ ამომრჩეველს და ასე შემდეგ, ასეთი თანმიმდევრობით.

მუხლი 45. სამრევლოში ამომრჩევლად არ შეიძლება იყოს არჩეული პირი, თუ ის არ არის ესპანეთის მოქალაქე, ოცდახუთ წელზე უფროსი ასაკის და თუ ის არ ცხოვრობს სამრევლოში.

მუხლი 46. სამრევლოს კრებებს თავმჯდომარეობს მთავარი სახელმწიფო, სამოქალაქო ოფიცერი, ან იმ ქალაქის ან დაბის მერი, ან სოფლის გამგებელი, სადაც იმართება კრებები; არჩევნებისთვის მეტი ოფიციალური ხასიათის მინიჭებისთვის მათ დახმარებას უწევს სამრევლოს წინამძღვარი. ხოლო, თუ სამრევლოების რაოდენობის გამო, ორი ან მეტი კრება უნდა ჩატარდეს ერთდროულად ერთ ქალაქში ან დაბაში, ერთ-ერთი მათგანის თავმჯდომარე იქნება მთავარი სახელმწიფო, სამოქალაქო ოფიცერი ან ერთ-ერთი ალკალდი, მეორე კრების თავმჯდომარე იქნება სხვა ალკალდი, მომდევნო კრებებს კი თავმჯდომარეობას გაუწევს კენჭისყრით არჩეული ოლდერმენი (პროვინციის საბჭოს ერთ-ერთი წევრი) ან მუნიციპალიტეტის საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 47. ამომრჩევლები, რომლებიც იკრიბებიან ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში ან კრების ჩვეულებრივ ადგილზე, დანიშნულ საათზე, თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, მიემართებიან სამრევლოს ეკლესიაში, სადაც სამრევლოს წინამძღვარი აღავლენს საზეიმო წირვას სულიწმიდის წინაშე და წარმოთქვამს ამ მოვლენის შესაბამის სიტყვას.

მუხლი 48. ღვთისმსახურების შემდეგ ისინი უბრუნდებიან იმ ადგილს, საიდანაც მოვიდნენ და კრება იწყება ორი დამკვირვებლისა და ერთი მდივნის დასახელებით, რომლებსაც ირჩევენ კრებაზე დამსწრე ხმოსნებისგან; კრების დროს დარბაზის კარი ღიაა.

მუხლი 49. ამის შემდეგ თავმჯდომარე ატარებს გამოკითხვას, აქვს თუ არა რომელიმე ხმოსანს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული პირის არჩევისთვის მას შესთავაზეს ქრთამი. ამ შემთხვევაში სხდომის დროს მიიღება ამ ფაქტის სახალხოდ და ცერემონიული წესით ფიცით დადასტურებული წერილობითი ჩვენება. ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში დამნაშავეებს ჩამოერთმევათ ხმის მიცემის უფლება, ხოლო მათ, ვისაც ბრალი არ დაუმტკიცდათ, ასევე, ჩამოერთმევათ აღნიშნული უფლება; ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

მუხლი 50. თუ რომელიმე მოქალაქის ხმის მიცემის უფლებაში არსებობს ეჭვის შეტანის საფუძველი, ამ საკითხს წყვეტს კრება შესაბამის სხდომაზე და მისი გადაწყვეტილება ძალაში შედის ყოველგვარი გასაჩივრების გარეშე.

მუხლი 51. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ტარდება კომისრების არჩევნები, თითოეული ხმოსანი ნიშნავს კომისრების რაოდენობის ტოლი რაოდენობის საჭირო პირებს; ამ მიზნით იგი უახლოვდება თავმჯდომარის, დამკვირვებლებისა და მდივნის წინ მაგიდას, რომელზეც უნდა დაინეროს მათი სახელები აღნიშნული ოფიცრების თანდასწრებით. არცერთმა ხმოსანმა არ უნდა ჩაწეროს საკუთარი სახელი კანდიდატთა სიაში რომელიმე არჩევნებში, რადგან მან შეიძლება დაკარგოს ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 52. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ თავმჯდომარე, დამკვირვებლები და მდივანი გულდასმით შეისწავლიან სიებს, ხოლო თავმჯდომარე ხმამაღლა გამოაცხადებს მათ სახელებს და გვარებს, ვინც ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა კომისრებად.

მუხლი 53. კრების გადადებამდე, არჩეული კომისრები გადიან ცალკე ოთახში და იწყებენ ერთი ან მეტი ამომრჩევლის დასახელებას იმ სამრევლოსთვის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ხოლო პირი ან პირები, რომლებიც მიიღებენ ხმების ნახევარზე მეტს, ინიშნებიან ამომრჩევლებად. შემდეგ აღნიშნული არჩევნების შედეგები ცხადდება კრებაზე.

მუხლი 54. მდივანი ადგენს კრების ოქმს, რომელსაც ხელს აწერს მდივანი, თავმჯდომარე და კომისრები, ხოლო მისი ასლი, რომელიც დამოწმებულია ზემოაღ-

ნიშნული პირების მიერ, გადაეცემა არჩეულ წევრს ან წევრებს, როგორც მისი ან მათი არჩევის მტკიცებულება.

მუხლი 55. არცერთ მოქალაქეს არ შეუძლია გაითავისუფლოს თავი ზემოაღნიშნული სახელმწიფო ვალდებულებებისგან, რა საბაბიც არ უნდა ჰქონდეს მას.

მუხლი 56. არცერთ მოქალაქეს შეუძლია გამოცხადდეს სამრევლოს კრებაზე წელზე ან მხარილღივ სატარებელი იარაღით ან სხვა იარაღით.

მუხლი 57. არჩევნების შედეგების დადასტურების შემდეგ კრება დაუყოვნებლივ იშლება. აღნიშნული კრების ნებისმიერი სხვა აქტი ბათილია.

მუხლი 58. კრების წევრები მიემართებიან სამრევლოს ეკლესიისკენ, სადაც აღიმართება სამადლობელი ღოცვა „Te Deum“ („ტე დეუმ“ შენ – უფალს, ღმერთს გადიდებთ). ამომრჩეველი ან ამომრჩევლები დგებიან თავმჯდომარეს, დამკვირვებლებსა და მდივანს შორის.

თავი IV. საარჩევნო ოლქის კრებები

მუხლი 59. საარჩევნო ოლქის კრებები შედგება სამრევლოს ამომრჩევლებისგან, რომლებიც იკრიბებიან მთავარ ქალაქში ამომრჩევლის ან ამომრჩევლების დასახელების მიზნით, რომლებიც მიემართებიან პროვინციის მთავარ ქალაქში იმისათვის, რომ აირჩიონ კორტესების დეპუტატები.

მუხლი 60. ნახევარკუნძულზე და მიმდებარე კუნძულებზე ეს კრებები ყოველთვის ტარდება იმ წლის ნოემბრის თვის პირველ კვირა დღეს, რომელიც მოსდევს კორტესების უახლოესი წინა კრების წელს.

მუხლი 61. ზღვისიქითა პროვინციებში აღნიშნული კრებები ტარდება იანვრის თვის პირველ კვირა დღეს, რომელიც მოსდევს იმ დეკემბრის თვეს, როდესაც უნდა ჩატარებულიყო სამრევლოს კრებები.

მუხლი 62. თითოეული ოლქის მიერ წარსადგენ ამომრჩეველთა რაოდენობის დასადგენად დაცული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული წესები.

მუხლი 63. ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა სამჯერ უნდა აღემატებოდეს იმ დეპუტატების რაოდენობას, რომლებიც მათ უნდა აირჩიონ.

მუხლი 64. თუ აღმოჩნდა, რომ ერთ პროვინციაში ოლქების რაოდენობა აღემატება იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელიც, წინა მუხლის მიხედვით, საჭი-

როა დეპუტატების წარდგენისთვის, თითოეული ოლქი მაინც წარადგენს თითო ამომრჩეველს.

მუხლი 65. თუ ოლქების რაოდენობა ნაკლებია ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობაზე, თითოეული ოლქი წარადგენს ერთ, ორ ან მეტ ამომრჩეველს, სანამ არ შეივსება საჭირო რაოდენობამდე; მაგრამ თუ ერთი ამომრჩეველი მაინც იქნება საჭირო, მას წარადგენს ყველაზე ხალხმრავალი ოლქი; თუ ორი ამომრჩეველი იქნება საჭირო, მომდევნო ყველაზე ხალხმრავალი ოლქი წარადგენს ამომრჩეველს; და ასე შემდეგ.

მუხლი 66. 31-ე, 32(d)-ე, 33(d)-ე, 63(d)-ე, 64-ე და 65-ე მუხლების შესაბამისად, მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება დეპუტატების ის რაოდენობა, რომლებსაც წარადგენს თითოეული პროვინცია, ასევე განისაზღვრება ის, თუ რამდენ ამომრჩეველს დანიშნავს პროვინციის თითოეული ოლქი.

მუხლი 67. საარჩევნო ოლქის კრებებს თავმჯდომარეობს მთავარი სახელმწიფო, სამოქალაქო ოფიცერი ან ოლქის მთავარი ქალაქის მერი, რომელთა წინაშეც გამოდიან სამრევლოს ამომრჩევლები თავიანთი არჩევის სათანადო მტკიცებულებებით, რათა მათი სახელები და გვარები ჩაინეროს კრების ოქმებში.

მუხლი 68. დანიშნულ დღეს, სამრევლოს ამომრჩევლები თავმჯდომარესთან ერთად ღია კარის პრინციპით იკრიბებიან სათათბირო დარბაზში და იწყება ამომრჩეველთაგან ერთი მდივნისა და ორი დამკვირვებლის დანიშვნის პროცესი.

მუხლი 69. ამომრჩევლებმა უნდა წარადგინონ თავიანთი არჩევის დამადასტურებელი მოწმობები, რათა მათი გადამოწმება მოხდეს მდივნისა და დამკვირვებლების მიერ, რომლებიც, მომდევნო დღეს წარადგენენ ანგარიშს ამომრჩევლების კანონზომიერების შესახებ. მდივნისა და დამკვირვებლების მოწმობებს განიხილავს კრების სამი წევრისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც ინიშნება ამ მიზნით და რომელიც აღნიშნულის შესახებ ანგარიშს წარმოადგენს მომდევნო დღეს.

მუხლი 70. იმავე დღეს, სამრევლოს ამომრჩეველთა კრების შემდეგ ხდება არჩევის დამადასტურებელი მოწმობების შესახებ ანგარიშების გაცნობა; ხოლო თუ რაიმე საწინააღმდეგო იქნება გამოთქმული მოწმობებთან ან ამომრჩევლებისთვის მოთხოვნილი კვალიფიკაციის არქონასთან დაკავშირებით, კრება იმავე შეკრებისას იღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე და ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

მუხლი 71. ამის შემდეგ სამრევლოს ამომრჩევლები მათი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, მიემართებიან მთავარი ეკლესიისკენ, სადაც საზეიმოდ აღე-

ლინება სულიწმიდისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება უმაღლესი იერარქიული ნოდების მქონე მღვდლის მიერ, რომელიც ასევე წარმოთქვამს სიტყვას ამ მოვლენასთან დაკავშირებით.

მუხლი 72. ღვთისმსახურების შემდეგ ამომრჩეველები უბრუნდებიან სათათბირო დარბაზს და ყოველგვარი პრივილეგიის გარეშე იკავებენ ადგილებს. მდივანმა უნდა წაიკითხოს კონსტიტუციის ეს თავი, ხოლო თავმჯდომარე სვამს 49-ე მუხლში მითითებულ კითხვას, რა დროსაც დაცული უნდა იყოს მასში გადმოცემული შინაარსის ყველა დეტალი.

მუხლი 73. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ტარდება ერთი ან მეტი საოლქო ამომრჩეველის არჩევნები; მათთვის ხმის მიცემა ხდება თანმიმდევრობით, ფარული წესით, საარჩევნო ბიულეტენებით, რომლებზედაც დაინერება იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც აირჩევს თითოეული ამომრჩეველი.

მუხლი 74. კენჭისყრის დასრულებისას თავმჯდომარე, მდივანი და დამკვირვებლები ითვლიან ხმებს და ირჩევენ იმ პირს, რომელსაც მიღებული საერთო ხმებიდან ნახევარი და ერთით მეტი ხმა მაინც ექნება მის სასარგებლოდ. თავმჯდომარე აქვეყნებს არჩევნების შედეგებს. თუ არცერთ პირს არ ექნება მიღებული ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა საარჩევნო უფლების მქონე პირებისგან, მეორედ ეყრება კენჭი იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც მიიღეს ხმათა მეტი რაოდენობა და დასახელდება ის, ვინც თავის სასარგებლოდ მიიღებს ხმათა უმრავლესობას. თუ ორ ადამიანს ექნება ხმების თანაბარი რაოდენობა, მათ წილი უნდა ყარონ.

მუხლი 75. ოლქის ამომრჩეველად ვერავინ აირჩევა, თუ ის არ არის სრულუფლებიანი მოქალაქე, არ არის ოცდახუთ წელზე უფროსი ასაკის და არ ცხოვრობს ოლქში, იქნება ის საერო პირი, თუ თეთრი სამღვდელოების წარმომადგენელი. არჩევნებში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ მოქალაქეებმა როგორც კრების დროს, ასევე ისეთ დროს, როდესაც კრება არ ტარდება.

მუხლი 76. მდივანი ადგენს კრების ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ მდივანი, თავმჯდომარე და დამკვირვებლები, ხოლო მისი ასლი, დამოწმებული ზემოაღნიშნული პირების მიერ, გადაეცემა არჩეულ წევრს ან წევრებს მისი ან მათი არჩევის მტკიცებულების სახით. კრების თავმჯდომარე ამ ოქმის კიდევ ერთ ეგზემპლარს, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი, უგზავნის პროვინციის კრების თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების გაზეთებში გამოქვეყნებას.

მუხლი 77. 55-ე, 56-ე, 57-ე და 58-ე მუხლების ყველა დებულება, რომლებიც ეხება სამრევლოს კრებებს, დაცული უნდა იყოს საოლქო კრებების დროს.

თავი V. პროვინციის ამომრჩეველთა კრებების შესახებ

მუხლი 78. პროვინციის ამომრჩეველთა კრებებში მონაწილეობს პროვინციის ყველა ოლქის ამომრჩეველი, რომლებიც იკრიბებიან მთავარ ქალაქში კორტესებისთვის შესაბამისი რაოდენობის დეპუტატების დასახელების მიზნით, რომლებსაც ეკისრებათ ერის წარმომადგენლების ფუნქცია.

მუხლი 79. ნახევარკუნძულზე და მის მომიჯნავე კუნძულებზე ეს კრებები ყოველთვის იმართება იმ წლის დეკემბრისთვის პირველ კვირა დღეს, რომელიც მოსდევს კორტესების წინა უახლოესი კრების წელს.

მუხლი 80. ზღვისიქითა პროვინციებში ასეთი კრებები იმართება იმ წლის მარტისთვის მეორე კვირა დღეს, როდესაც იმართება საოლქო კრებები.

მუხლი 81. პროვინციის ამომრჩეველთა კრებებს თავმჯდომარეობს პროვინციის დედაქალაქის მთავარი სახელმწიფო ოფიცერი, რომლის წინამეც გამოდიან საოლქო ამომრჩეველები თავიანთი არჩევის დამადასტურებელი სათანადო მოწმობებით, რათა მათი სახელები და გვარები ჩაინეროს კრების ოქმებში.

მუხლი 82. დანიშნულ დღეს, ოლქის ამომრჩეველები თავმჯდომარესთან ერთად იკრიბებიან სათათბირო დარბაზში ან სხვა შენობაში, რომელიც შეესაბამება კრების ჩატარებისთვის აუცილებელ პირობებს და ღია კარის პრინციპით ინწყებენ ამომრჩეველებიდან ერთი მდივნისა და ორი დამკვირვებლის დასახელებას ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.

მუხლი 83. თუ პროვინციას ასარჩევი ჰყავს მხოლოდ ერთი დეპუტატი, მას კენჭს უყრის მინიმუმ ხუთი ამომრჩეველი, ეს რაოდენობა ნაწილდება ოლქებს შორის, ან სპეციალურად ამ მიზნისთვის იქმნება ახალი ოლქები.

მუხლი 84. კრებაზე უნდა მოხდეს ამ კონსტიტუციის ოთხი თავის გაცნობა, რომელიც ეხება არჩევნების საკითხს, ხოლო შემდეგ – ოლქის ამომრჩეველთა ოქმის გაცნობა, რომელიც გადაეცემათ მათი შესაბამისი თავმჯდომარეების მიერ. ამომრჩეველები წარადგენენ მათი კანდიდატურის დასახელების დამადასტურებელ მოწმობებს, რომ ისინი შემოწმდეს მდივნის და დამკვირვებლების მიერ, რომლებიც მომდევნო დღეს წარმოადგენენ ამის შესახებ ანგარიშს. მდივნისა და დამკვირვებლების მოწმობებს განიხილავს კრების სამი წევრისაგან შემდგარი

კომიტეტი, რომელიც ინიშნება ამ მიზნით და რომელიც აღნიშნულის შესახებ ანგარიშს წარადგენს მომდევნო დღეს.

მუხლი 85. იმავე დღეს, ოლქის ამომრჩეველთა შეკრებისას, ხდება არჩევის და-
მადასტურებელი მონმობების შესახებ ანგარიშების გაცნობა; ხოლო თუ რაიმე
საწინააღმდეგო იქნება გამოთქმული მონმობებთან ან ამომრჩეველებთან დაკავ-
შირებით აუცილებელი კვალიფიკაციის არქონის გამო, კრება იმავე სხდომაზე
იღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე და ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

მუხლი 86. ამის შემდეგ ოლქის ამომრჩეველები მათი თავმჯდომარის ხელმძღვა-
ნელობით მიემართებიან საკათედრო ტაძარში ან მთავარ ეკლესიაში, სადაც სა-
ზეიმოდ აღევლინება სულიწმიდისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება ეპისკოპო-
სის ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, უმაღლესი იერარქიული წოდების მქონე
მღვდლის მიერ, რომელიც ასევე წარმოთქვამს სიტყვას ამ მოვლენასთან დაკავ-
შირებით.

მუხლი 87. ღვთისმსახურების შემდეგ ისინი ბრუნდებიან კრების ადგილზე და
ამომრჩეველები, ღია კარის პრინციპით, ყოველგვარი პრივილეგიის გარეშე, იკა-
ვებენ ადგილებს. თავმჯდომარე წამოაყენებს 49-ე მუხლში მითითებულ სა-
კითხს, სადაც განიხილება ყველა მისი შინაარსობრივი დეტალი.

მუხლი 88. ამის შემდეგ დამსწრე ამომრჩეველები იწყებენ ერთი ან რამდენიმე
დეპუტატის არჩევის პროცესს, რომლებსაც კენჭი ეყრებათ თანმიმდევრობით
და ამ მიზნით თითოეული ამომრჩეველი უახლოვდება თავმჯდომარის, დამ-
კვირვებლების და მდივნის წინ მაგიდას და იქ, აღნიშნული პირების თანდასწრე-
ბით, წერენ იმ პირის სახელსა და გვარს, ვისაც ხმას აძლევენ. მდივანი და დამ-
კვირვებლები პირველები აძლევენ ხმას.

მუხლი 89. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ თავმჯდომარე, მდივანი და დამ-
კვირვებლები ითვლიან ხმებს და ირჩევენ იმ პირს, რომელსაც საერთო ხმებიდან
ნახევარი და ერთით მეტი მაინც ექნება მიღებული მის სასარგებლოდ. თუ არ-
ცერთ პირს არ ექნება მიღებული ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა საარჩევნო
უფლების მქონე პირებისგან, მეორედ ეყრება კენჭი იმ ორ კანდიდატს, რომლებ-
მაც მიიღეს ხმათა მეტი რაოდენობა და მათგან აირჩევა ის, ვინც მის სასარგებ-
ლოდ მიიღებს ხმათა უმრავლესობას. თუ ორ პირს ექნება ხმების თანაბარი რაო-
დენობა, ისინი იყრიან კენჭს, ხოლო თავმჯდომარე აქვეყნებს არჩევნების შედე-
გებს.

მუხლი 90. დეპუტატების არჩევის შემდეგ კრება იმავე წესით გრძელდება და სა-
ხელდება მათი უფლებამონაცვლეები, რომელთა რაოდენობა თითოეულ პრო-

ვინციაში იქნება ერთიდან სამი დეპუტატის პროპორციული. თუ პროვინცია ირჩევს არაუმეტეს ერთ ან ორ დეპუტატს, ის მაინც წარადგენს ერთ უფლებამონაცვლეს. აღნიშნული უფლებამონაცვლეები კორტესებში შედიან პროვინციის დეპუტატის გარდაცვალების, ან აღნიშნული კორტესების მიერ მისი ქმედუვნაროდ ცნობის შემთხვევაში, რა პერიოდშიც არ უნდა მოხდეს ეს ორი მოვლენა არჩევნების შემდეგ.

მუხლი 91. არავინ შეიძლება აირჩეს კორტესების დეპუტატად, თუ ის არ არის სრულუფლებიანი მოქალაქე, არ არის ოცდახუთ წელზე უფროსი ასაკის, არ არის პროვინციის მკვიდრი და არ უცხოვრია იქ სულ ცოტა შვიდი წლის განმავლობაში, იმის მიუხედავად, ის არის საერო პირი თუ თეთრი სამღვდელოების წარმომადგენელი; არჩევნებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მოქალაქეებმა როგორც კრების დროს, ასევე ისეთ დროს, როდესაც კრება არ ტარდება.

მუხლი 92. არავინ შეიძლება იყოს კორტესების დეპუტატი, რომელსაც არ გააჩნია სათანადო, საკუთარი შემოსავალი.

მუხლი 93. ნინა მუხლის დებულების მოქმედება დროებით ჩერდება, ვიდრე კორტესების მომდევნო სხდომა არ გადანიშნავს, როდის შევა სრულად ძალაში ეს დებულება და სანამ არ განსაზღვრავს ზემოაღნიშნული შემოსავლის ნორმას, იმას, თუ რა სახის ქონებიდან უნდა მოდიოდეს ეს შემოსავალი; ხოლო, რაც არ უნდა გადანიშნავს კორტესებმა ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს იქნება კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონი ისე, თითქოს აქ იყოს გათვალისწინებული.

მუხლი 94. იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე პირს ირჩევს პროვინცია, სადაც ის დაიბადა და პროვინცია, სადაც ის ცხოვრობს, ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებულ არჩევანს მიენიჭება უპირატესობა, ხოლო იმ პროვინციის მიერ არჩეული უფლებამონაცვლე, სადაც ის დაიბადა, ჩაანაცვლებს მას კორტესებში და დაიკავებს მის ადგილს.

მუხლი 95. მინისტრები, სახელმწიფო მრჩეველები და ისინი, ვინც იკავებენ თანამდებობებს სამეფო ოჯახში, არ შეიძლება იყვნენ არჩეულნი კორტესების დეპუტატებად.

მუხლი 96. არცერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე არ შეიძლება იყოს კორტესების დეპუტატი მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება ჰქონდეს მოქალაქეობა.

მუხლი 97. მთავრობის მიერ დანიშნული არცერთი საჯარო მოხელე არ შეიძლება აირჩეს კორტესების დეპუტატად იმ პროვინციის მიერ, სადაც ის ახორციელებს თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებას.

მუხლი 98. მდივანი ადგენს არჩევნების ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ მდივანი, თავმჯდომარე და ყველა ამომრჩეველი.

მუხლი 99. ამის შემდეგ, ყველა ამომრჩეველი, გამონაკლისის გარეშე, ანიჭებს ყველა დეპუტატს და კონკრეტულად თითოეულ მათგანს სრულ ძალაუფლებას შემდეგი ფორმით და თითოეულ დეპუტატს უზრუნველყოფს იმ უფლებამოსილებით, რაც მას ეკუთვნის და რის განხორციელებაც მას შეუძლია კორტესებში.

მუხლი 100. ამ უფლებამოსილებას გააჩნია შემდეგი სიტყვიერი ფორმულირება:

„ქალაქში ან დაბაში, --- წელს, ჩემს ოფისში, ქვემოთ ხელის მომწერი ნოტარიუსისა და ამ მიზნით მოწვეული მოწმეების წინაშე, გამოცხადდა (აქ ჩაწერეთ თავმჯდომარისა და ოლქის ამომრჩევლების გვარები და სახელები, შედიან პროვინციის ამომრჩეველთა კრების შემადგენლობაში), რომელიც კონსტიტუციური ფორმით შეიკრიბა, განაცხადა და აღნიშნა, რომ სამრევლოს და საოლქოს ამომრჩეველთა არჩევნები სათანადოდ იქნა ჩატარებული ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციის შესაბამისად, აქვე გაწერილი ფორმებისა და ფორმულების დაცვით, რასაც ადასტურებს ოქმებზე დართული მოწმობათა ასლების ორიგინალები, პროვინციის ოლქის აღნიშნულმა ამომრჩევლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ მიმდინარე წლის შესაბამისი თვის შესაბამის დღეს, დაასახელეს ის დეპუტატები, რომლებმაც აღნიშნული პროვინცია უნდა წარმოადგინონ კორტესებში და რომ პატივცემული „N. N. N“ არიან ის პირები, რომლებიც მათ აირჩიეს ამ მიზნებისთვის, რასაც ადასტურებს აღნიშნული არჩევნების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს „N. N“. აღნიშნულის შედეგად, წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, ისინი, ყველას და თითოეულ მათგანს, ანიჭებენ სრულ უფლებამოსილებას განახორციელონ და შეასრულონ მათთვის დაკისრებული შესაბამისი თანამდებობრივი ფუნქციები და კორტესებში წარმოდგენილ სხვა დეპუტატებთან ერთად, დაეთანხმონ და შესთავაზონ, როგორც ერის წარმომადგენლებმა, ყველაფერი, რასაც მიიჩნევენ, რომ არის ერის კეთილდღეობის ხელშემწყობი ფაქტორი, კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემოიფარგლებიან რა იმ ზღვრებით, რასაც მათ კონსტიტუცია დაუწესებს, ყოველგვარი საბაბით მისი რომელიმე მუხლის გარდაქმნის, ნაწილობრივ გაუქმების ან შეცვლის გარეშე; რომ ისინი, აღნიშნული ამომრჩევლები, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც დეპუტატების წარდგენისთვის დანიშნული ამომრჩევლები, იღებენ ვალდებულებას, როგორც საკუთარი, ისე ამ პროვინციის ყველა მკვიდრის სახელით, კანონიერად აღიარონ და მხარი დაუჭირონ და დაიცვან ყველაფერი, რასაც კორტესების ხსენებული დეპუტატები დაამტკიცებენ და გადაწყვიტენ ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციის შესაბამისად. შედგენილია „N.N.“-ის, მოწმეების თანდასწრებით, რომლებმაც აღნიშნულ

ამომრჩეველთან ერთად ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტს, რომელსაც პირადად ვამონებ“.

მუხლი 101. თავმჯდომარე, ამომრჩეველები და მდივანი დაუყოვნებლივ უგზავნიან კორტესების მუდმივმოქმედ კომიტეტს მათ მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ოქმის ასლს და ისინი უზრუნველყოფენ აღნიშნული არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას, ხოლო ასლს უგზავნიან პროვინციის თითოეულ ქალაქსა და დაბას.

მუხლი 102. დეპუტატები გასამრჯელოს იღებენ მათ შესაბამის პროვინციებში იმ განაკვეთით, რომელსაც მომდევნო წლისთვის განსაზღვრავს კორტესები გენერალური კორტესების ყოველი დეპუტაციის მეორე წელს, ხოლო ზღვისიქითა პროვინციებში დეპუტატები გასამრჯელოს იღებენ იმ ოდენობით, რაც მათ შეიძლება საჭიროდ ჩათვალონ მათი გარე და შიდა გადაადგილების ხარჯების დასაფარად.

მუხლი 103. 328-ე მუხლში აღნიშნული გამონაკლისის გარდა პროვინციის ამომრჩეველთა კრებები უნდა შეესაბამებოდეს 55-ე, 56-ე, 57-ე და 58-ე მუხლების დებულებებს.

თავი VI. კორტესების სხდომის შესახებ

მუხლი 104. კორტესები იკრიბება ყოველწლიურად სამეფოს დედაქალაქში ამ მიზნისთვის სპეციალურად გამოყოფილ შენობაში.

მუხლი 105. მას შეუძლია, თუ ეს მოსახერხებლად მიაჩნია, გადავიდეს სხვა ადგილას იმ პირობით, თუ ეს ადგილი დედაქალაქიდან არაუმეტეს თორმეტი ლიეს დაშორებით იქნება და დამსწრე დეპუტატების ორი მესამედი მაინც დაეთანხმება ამ გადაწყვეტილებას.

მუხლი 106. კორტესების სხდომა ყოველწლიურად გრძელდება ზედიზედ სამი თვის განმავლობაში და იწყება მარტის პირველ დღეს.

მუხლი 107. კორტესებს შეუძლია შეაჩეროს სხდომები არაუმეტეს ერთი თვისა მხოლოდ შემდეგ ორ შემთხვევაში: პირველი, თუ ეს არის მეფის სურვილი; მეორე, თუ კორტესები ამას საჭიროდ ჩათვლის და ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმება ნევრთა ორი მესამედი მაინც.

მუხლი 108. დეპუტატების ხელახალი არჩევნები ტარდება ყოველ ორ წელიწადში.

მუხლი 109. თუ ომი ან მტრის მიერ მონარქიის ტერიტორიის რომელიმე ნაწილის დაპყრობა ხელს შეუშლის ერთი ან რამდენიმე პროვინციის ყველა ან რომელიმე დეპუტატის დროულად გამოცხადებას სხდომაზე, მათ ადგილებს შესაბამისი პროვინციების ყოფილი დეპუტატები დაიკავებენ, რომლებიც ერთმანეთში წილს იყრიან მანამ, სანამ სასურველ რაოდენობას არ მიაღწევენ.

მუხლი 110. დეპუტატები არ შეიძლება აირჩიონ მეორე ვადით, სანამ არ ჩატარდება მეორე არჩევნები.

მუხლი 111. დედაქალაქში ჩასვლისას დეპუტატები გამოცხადდებიან მუდმივ-მოქმედი კომიტეტის წინაშე, რომელიც მოახდენს კორტესების ოქმებში მათი სახელების და გვარების და იმ პროვინციის დასახელების შეტანას, სადაც ისინი აირჩიეს.

მუხლი 112. იმ წელიწადს, როდესაც უნდა მოხდეს ახალი დეპუტატების არჩევა, 15 თებერვალს ტარდება პირველი მოსამზადებელი სხდომა ღია კარის პრინციპით; მას თავმჯდომარეობს მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო დამკვირვებლებსა და მდივნებს დარჩენილი წევრებიდან ირჩევენ აღნიშნული კომიტეტი.

მუხლი 113. ამ სხდომაზე ყველა დეპუტატი ახორციელებს უფლებამოსილებას და ხმათა უმრავლესობით ინიშნება ორი კომიტეტი; ერთი, რომელიც შედგება ხუთი წევრისაგან, განიხილავს ყველა დეპუტატის უფლებამოსილებას, ხოლო მეორე, რომელიც შედგება სამი წევრისგან, განიხილავს ხუთი წევრისგან შემდგარი კომიტეტის უფლებამოსილებას.

მუხლი 114. იმავე თვის 20 რიცხვში იმართება მეორე მოსამზადებელი სხდომა, ასევე, ღია კარის პრინციპით და ზემოაღნიშნული ორი კომიტეტი წარმოადგენს ანგარიშს უფლებამოსილების კანონიერების შესახებ, პროვინციის არჩევნების ოქმის ასლების გათვალისწინებით.

მუხლი 115. ამ სხდომაზე და სხდომებზე, რომელთა ჩატარებაც საჭიროდ მიიჩნევა ოცდამეხუთე დღემდე, დეპუტაციის უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის კანონიერებასთან დაკავშირებული ყველა ეჭვი აუცილებლად ხმათა უმრავლესობის საფუძველზე წყდება.

მუხლი 116. იმ წელს, რომელიც მოჰყვება ახალი დეპუტატების არჩევის წელს, პირველი მოსამზადებელი სხდომა იმართება 20 თებერვალს; ხოლო 25 რიცხვამდე იმართება იმდენი, რამდენიც საჭიროდ ჩაითვლება ახალი დეპუტატების უფ-

ლებამოსილების დასამტკიცებლად, წინა სამი მუხლით უკვე დადგენილი ფორმით.

მუხლი 117. ბოლო მოსამზადებელი სხდომა იმართება ყოველწლიურად, 25 თებერვალს, ამ დღეს ყველა დეპუტატი, წმინდა სახარებაზე ხელის დადებით, დებს შემდეგ ფიცს. *კითხვა:* დებთ ფიცს, რომ დაიცავთ და შეინარჩუნებთ რომაული კათოლიკური და სამოციქულო ეკლესიის რელიგიას და არ დაუშვებთ სხვა რელიგიას სამეფოში? *პასუხი:* ვფიცავ! *კითხვა:* დებთ ფიცს, რომ ერთგულად დაუჭერთ მხარს ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციას, რომელიც დამტკიცებულია ერის გენერალური და საგანგებო კორტესების მიერ 1812 წელს და თავიდან აიცილებთ მისი დარღვევის ნებისმიერ მცდელობას? *პასუხი:* ვფიცავ! *კითხვა:* დებთ ფიცს, რომ ერთგულად შეასრულებთ იმ თანამდებობრივ ვალდებულებებს, რომელიც ერმა განდოთ თქვენ და გააკეთებთ ყველაფერს ამ ერის სიკეთისა და კეთილდღეობისთვის? *პასუხი:* ვფიცავ! — თუ თქვენს ფიცს შეასრულებთ, ღმერთმა დაგლოცოთ! თუ არ შეასრულებთ, პასუხი მოგეთხოვებათ ამისთვის!

მუხლი 118. შემდეგ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის საფუძველზე, აღნიშნული დეპუტატებისგან ისინი იწყებენ ერთი თავმჯდომარის, ერთი თავმჯდომარის მოადგილის და ოთხი მდივნის არჩევას; რის შემდეგაც კორტესები ითვლება სათანადოდ ორგანიზებულად და შემდგარად და მუდმივმოქმედი სხდომა აქვე წყვეტს ფუნქციონირებას.

მუხლი 119. იმავე დღეს ინიშნება კომიტეტი, რომელიც შედგება ოცდაორი წევრისა და ორი მდივნისგან, რომლის დანიშნულებაც დაელოდოს მეფეს, რათა შეატყობინონ მას, რომ კორტესები სათანადოდ შედგა და რომ აირჩიეს თავმჯდომარე; რომ მეფემ შეძლოს მიაწოდოს მათ ინფორმაცია იმის შესახებ, დაესწრება თუ არა ის კორტესების სხდომის გახსნას მარტის თვის პირველ დღეს.

მუხლი 120. თუ მეფე გასულია დედაქალაქიდან, აღნიშნული ინფორმაცია მას წერილობით უნდა მიეწოდოს და მან პასუხი იმავე წესით უნდა დააბრუნოს.

მუხლი 121. მეფე პირადად ესწრება კორტესების სხდომის გახსნას; მაგრამ თუ რაიმე მიზეზით მას ხელი ეშლება, სხდომა იხსნება თავმჯდომარის მიერ სხდომისთვის დანიშნულ დღეს და არავითარი საბაბით არ უნდა გადაიდოს იგი. იმავე პროცედურით ხორციელდება კორტესების სხდომის დახურვა.

მუხლი 122. მეფე მცველების გარეშე შედის კორტესების სხდომის დარბაზში; მას შეიძლება ახლდეს მხოლოდ ის პირები, რომლებიც დანიშნულია კორტესე-

ბის იმ რეგლამენტის საფუძველზე, რომელიც ეხება კორტესების სხდომაზე მეფის შესვლა-გამოსვლის ცერემონიას.

მუხლი 123. მეფე წარმოთქვამს სიტყვას, რომლის დროსაც ის სთავაზობს კორტესებს, თუ რა მიაჩნია მას შესაფერისად, რაზეც თავმჯდომარე გასცემს ზოგად პასუხს. თუ მეფე პირადად არ ესწრება, ის თავის სიტყვას უგზავნის თავმჯდომარეს, რომელიც მეფის სიტყვას წაიკითხავს კორტესების წინაშე.

მუხლი 124. კორტესებს არ შეუძლია ითათბიროს მეფის თანდასწრებით.

მუხლი 125. თუ სახელმწიფო მინისტრებს კორტესების წინაშე აქვთ რაიმე სათქმელი მეფის სახელით, ისინი უნდა დაესწრონ დებატებს ისეთ დროს და ისეთი პროცედურების დაცვით, როგორც ამას განსაზღვრავს კორტესები; მათ აქვთ თავიანთი აზრის გამოხატვის პრივილეგია, მაგრამ არ უნდა დაესწრონ კენჭისყრას.

მუხლი 126. კორტესების სხდომები საჯაროა და არასაჯარო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს საჭიროა კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით.

მუხლი 127. კორტესების დებატების დროს ყველაფერ იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხება მის შინაგანანესს და მართვას, დაცული უნდა იყოს ის რეგლამენტი, რომელსაც იღებს გენერალური და საგანგებო კორტესები იმ ცვლილებების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც კორტესების მომდევნო სხდომებზე შეიძლება იყოს მიჩნეული შესაფერისად.

მუხლი 128. დეპუტატი, როგორც პიროვნება, არის ხელშეუხებელი და ის არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ტრიბუნალის წინაშე გამოთქმულ საკუთარ მოსაზრებებზე. სისხლის სამართლის საქმეებში დეპუტატი პასუხისმგებელია მხოლოდ კორტესების ტრიბუნალის წინაშე იმ ფორმითა და წესით, რომელსაც კორტესები დაადგენს შინაგანანესის საფუძველზე. კორტესების სხდომებზე და მათ შემდეგ ერთი თვის განმავლობაში დაუშვებელია რომელიმე დეპუტატის სამართლებრივი დევნა ან დაპატიმრება ვალის გამო.

მუხლი 129. არცერთმა დეპუტატმა, თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, რომელიც აითვლება მისი არჩევის შესახებ კორტესების მუდმივმოქმედი კომიტეტის ინფორმირების დღიდან, არ უნდა მიიღოს საკუთრივ და არც სხვას უშუამდგომლოს, რომ მიიღოს რომელიმე სამეფო თანამდებობა, ან თუნდაც დაწინაურდეს ასეთ თანამდებობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება რეგულარული პროცედურების დაცვით, იმ პროფესიის მიხედვით, რომელსაც ის წარმოადგენს.

მუხლი 130. სანამ კორტესების წევრია და ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეწყვეტს კორტესების წევრობას, ის არ იღებს საკუთრივ მისთვის და არც სხვას უშუამდგომლებს, რომ მიიღოს მეფის განკარგვაში არსებული ნებისმიერი პენსია ან ნოდება.

თავი VII. კორტესების უფლებამოსილების შესახებ

მუხლი 131. კორტესები უფლებამოსილია განახორციელოს:

1. კანონების შეთავაზება და დამტკიცება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი განმარტება და გაუქმება;
2. მეფის, ასტურიის პრინცისა და სარეგენტოს წინაშე ფიცის დადება, როგორც ეს დადგენილია შესაბამისი მუხლებით;
3. ყველა იმ ფაქტის ან კანონის საკითხზე გადანყვეტილების მიღება, რომელიც ეხება სამეფო გვირგვინის მემკვიდრეობას;
4. სამეფოში სარეგენტოს ან რეგენტის დანიშვნა, როცა ამას კონსტიტუცია მოითხოვს და იმ შეზღუდვების დანესება, რომლითაც რეგენტი ან სარეგენტო ახორციელებს სამეფო უფლებამოსილებას;
5. ასტურიის პრინცისთვის საჯარო აღიარებაში დახმარების განევა;
6. მცირეწლოვანი მეფისთვის მეურვის დანიშვნა, როცა ამას კონსტიტუცია მოითხოვს;
7. მათ რატიფიცირებამდე სამხედრო თავდასხმისთვის ალიანსის ფორმირებისა და სუბსიდიის შესახებ ყველა ხელშეკრულების და სპეციალური სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცება;
8. სამეფოში უცხო ჯარების შეყვანის დაშვება ან აკრძალვა;
9. კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილ ტრიბუნალებში თანამდებობების, ასევე, საჯარო თანამდებობების შექმნის ან გაუქმების შესახებ განკარგულების გაცემა;
10. მეფის წინადადებით, საზღვაო და სახმელეთო ჯარების რაოდენობის ყოველწლიური განსაზღვრა და განსაზღვრა იმისა, თუ ჯარის რა შემადგენლობა უნდა დარჩეს ქვეითად მშვიდობის დროს და რამდენად უნდა გაიზარდოს მისი რაოდენობა ომის დროს;
11. სახმელეთო და საზღვაო ძალების მართვისა და რეგულირების წესების განსაზღვრა;
12. საჯარო მმართველობის ხარჯების განსაზღვრა;

13. ყოველწლიურად გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესება;
14. საჭიროების შემთხვევაში სესხის აღება სახელმწიფო კრედიტის სახით;
15. სხვადასხვა პროვინციაში არსებული გადასახადების შეფასების დამტკიცება;
16. ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშგებების შემოწმება და დამტკიცება;
17. საბაჟოების შექმნა და საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთების დაწესება;
18. გადანყვეტა იმისა, თუ რა არის საჭირო სახელმწიფო ქონების მართვის, შენარჩუნებისა და გასხვისებისთვის;
19. მონეტების ღირებულების, წონის, სინჯის, შტამპის და ნომინალის დადგენა;
20. წონისა და ზომის ყველაზე სამართლიანი და მოსახერხებელი სტანდარტის მიღება;
21. მრეწველობის ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა და დახმარება ყველა იმ დაბრკოლების აღმოფხვრაში, რომლებმაც ისინი შეიძლება შეაფერხოს;
22. სწავლების გენერალური გეგმის შედგენა მონარქიის საჯარო სასწავლებლებისთვის და იმ გეგმის დამტკიცება, რომელიც მომზადდება ასტურიის პრინციპების განათლების უზრუნველყოფის მიზნით;
23. მთელი სამეფოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გენერალური პოლიციის შესახებ ზოგადი რეგულაციების დამტკიცება;
24. პრესის პოლიტიკური თავისუფლების დაცვა;
25. სახელმწიფო მინისტრებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა;
26. ბოლოს, ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამას კონსტიტუცია მოითხოვს, თანხმობის გაცემა და თანხმობის გაცემაზე უარის თქმა.

თავი VIII. კანონების შესახებ და მეფის მიერ კანონების დამტკიცების შესახებ

მუხლი 132. კანონების ინიცირების უფლება აქვს ყველა დეპუტატს, თუმცა, ეს უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით შედგენილი კანონპროექტის საფუძველზე, რასაც თან უნდა ახლდეს ამ კანონპროექტის შეთავაზების საფუძვლები.

მუხლი 133. კანონპროექტი განიხილება მეორედ მისი შემოტანიდან სულ მცირე ორი დღის შემდეგ, ხოლო კორტესები მსჯელობს, გავა თუ არა ეს კანონპროექტი დებატებზე.

მუხლი 134. დებატებზე გასვლის შემდეგ კორტესებს შეუძლია გადასცეს იგი კომიტეტს, თუ, მისი აზრით, საკითხის აქტუალურობა ამას მოითხოვს.

მუხლი 135. კანონპროექტი განიხილება მესამედ მისი შემოტანიდან სულ მცირე ოთხი დღის შემდეგ, ხოლო კორტესები ნიშნავს დღეს, როდესაც კანონპროექტი უნდა გავიდეს დებატებზე.

მუხლი 136. დანიშნულ დღეს კანონპროექტი და მისი თითოეული ნაწილი გადის დებატებს.

მუხლი 137. კორტესებმა უნდა გადაწყვიტოს, გაიარა თუ არა კანონპროექტმა საკმარისი დებატები, ხოლო როდესაც გადაწყვიტეს, რომ კანონპროექტმა საკმარისი დებატები გაიარა, ის წყვეტს მიიღოს თუ არა შესაბამისი საკითხი.

მუხლი 138. თუ გადაწყდა, რომ უნდა მიიღოს, საკითხს მაშინვე ეყრება კენჭი და კანონპროექტი მიიღება მთლიანად ან ნაწილობრივ და ისეთი ცვლილებებით, რომლებიც შემოთავაზებულ იქნა დებატების დროს.

მუხლი 139. საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით და აუცილებელია შედგეს კვორუმი, ანუ კრებას ესწრებოდეს კორტესების შემადგენელი დეპუტატების ნახევარი და კიდევ ერთი.

მუხლი 140. თუ კორტესები არ მიიღებს კანონპროექტს დებატების ნებისმიერ პერიოდში, ან გადაწყვეტს, რომ საკითხი არ უნდა იყოს მიღებული, დაუშვებელია კანონპროექტის განმეორებით შემოტანა იმავე წელს.

მუხლი 141. თუ მიიღება, ის უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით რამდენიმე ეგზემპლარად, კანონის სახით და იგი უნდა განიხილოს კორტესებმა; ამის შემდეგ, ამ მიზნით დანიშნული კომიტეტის მიერ არჩეული თავმჯდომარისა და ორი მდივნის მიერ ხელმოწერილი ორი ორიგინალი ეგზემპლარი დაუყოვნებლივ წარედგინება მეფეს.

მუხლი 142. კანონებს ამტკიცებს მეფე.

მუხლი 143. იგი კანონებს ამტკიცებს შემდეგი ფორმით, რომლებსაც პირადად აწერს ხელს: „მიღებულია კანონად.“

მუხლი 144. თუ მეფე არ ამტკიცებს რომელიმე კანონს, მას აქვს შემდეგი ფორმა, რომელსაც, ასევე, პირადად აწერს ხელს: „დაბრუნდეს კორტესებში“, სადაც ის განმარტავს იმ მიზეზებს, თუ რატომ არ დაამტკიცა კანონი.

მუხლი 145. ამ პრეროგატივით სარგებლობისთვის მეფეს აქვს ოცდაათი დღე; მაგრამ, თუ ამ პერიოდის განმავლობაში მან არ დაამტკიცა კანონი ან უარი თქვა დამტკიცებაზე, მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან დაამტკიცა ეს კანონი და მან ფაქტობრივად უნდა დაამტკიცოს ეს კანონი.

მუხლი 146. მას შემდეგ, რაც მეფე დაამტკიცებს კანონს ან უარს იტყვის მის დამტკიცებაზე, კანონპროექტის ორი ორიგინალი ეგზემპლარიდან ერთ-ერთი უნდა დაუბრუნდეს კორტესებს, რომელმაც ის უნდა შეინახოს არქივში; ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება მეფეს.

მუხლი 147. თუ მეფე უარს იტყვის კანონის დამტკიცებაზე, იგივე კანონპროექტი აღარ უნდა წარედგინოს იმავე წლის კორტესების სხდომას, არამედ ის შეიძლება წარედგინოს მომდევნო წლის კორტესების სხდომას.

მუხლი 148. თუ იგივე კანონპროექტი იქნება შემოტანილი და მას მიიღებს მომდევნო წლის კორტესების სხდომა, ის მეორედ წარედგინება მეფეს, რომელიც დაამტკიცებს ან უარს იტყვის მის დამტკიცებაზე 143-ე და 144-ე მუხლებში აღნიშნული ფორმით; ხოლო ბოლო შემთხვევაში ის არ უნდა წარედგინოს იმავე წლის კორტესების სხდომას.

მუხლი 149. თუ იგივე კანონპროექტი მესამედ იქნება შემოტანილი და მომდევნო წლის კორტესების სხდომას გადაეცემა, მხოლოდ ამის საფუძველზე ჩაითვლება იგი მეფის მიერ დამტკიცებულად; ხოლო მეფისთვის წარდგენილ კანონპროექტს ის ფაქტობრივად ამტკიცებს 143 (d) მუხლით დადგენილი ფორმით.

მუხლი 150. თუ ის დღე, როდესაც კორტესებმა უნდა დახუროს სხდომა, დადგება იმ ოცდაათი დღის გასვლამდე, რომელიც დაწესებულია იმისათვის, რომ მეფემ დაამტკიცოს ან უარი თქვას კანონის დამტკიცებაზე, მან უნდა დაამტკიცოს ან უარი თქვას კანონის დამტკიცებაზე მომდევნო კორტესების სხდომის პირველი რვა დღის განმავლობაში; ხოლო თუ ის ვერ განახორციელებს ამას ამ პერიოდში, კანონპროექტი მაინც ჩაითვლება დამტკიცებულად და მეფე ფაქტობრივად ამტკიცებს მას დადგენილი ფორმით; მაგრამ თუ ის უარს იტყვის დამტკიცებაზე, აღნიშნულმა კანონპროექტმა შეიძლება გაიაროს დებატები იმავე კორტესების სხდომის დროს.

მუხლი 151. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ერთი ან მეტი წელი გავიდეს მას შემდეგ, რაც მეფე უარს იტყვის კანონპროექტის დამტკიცებაზე მისი ხელახლა შემოტანის გარეშე, მაგრამ თუ ასეთი კანონპროექტი მაინც იქნება შემოტანილი იმავე საკანონმდებლო ორგანოში, რომელმაც თავდაპირველად მიიღო იგი, ან უშუალოდ მომდევნო ორი საკანონმდებლო ორგანოდან ერთ-ერთ ორგანოში, იგი განიხილება როგორც იგივე კანონპროექტი მეფის მიერ იმ დამტკიცებასთან მიმართებით, რომელიც აღნიშნულია წინა სამ მუხლში; მაგრამ, თუ ზემოაღნიშნული სამი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე კანონპროექტი ხელახლა არ იქნება წარდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში შეიძლება იმავე სიტყვიერი ფორმულირებით იყოს შემოტანილი, მეფის მიერ დამტკიცებასთან მიმართებით იგი ახალ კანონპროექტად განიხილება.

მუხლი 152. თუ კანონპროექტის მეორედ ან მესამედ შემოტანისას წინა მუხლით დადგენილ ვადაში მისი დამტკიცება უარყოფილი იქნება კორტესების მიერ, რა პერიოდის შემდეგაც არ უნდა იყოს შემოთავაზებული, ის ჩაითვლება ახალ კანონპროექტად.

მუხლი 153. კანონები უქმდება იმავე წესით და იმავე ფორმის დაკვიტ, როგორც მათი მიღების დროს.

თავი IX. კანონების გამოქვეყნების შესახებ

მუხლი 154. მას შემდეგ, რაც კანონი გამოქვეყნდება კორტესებში, მეფეს უნდა მიენდოს ინფორმაცია ამის შესახებ და ის დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მისი ოფიციალური გამოქვეყნების პროცესს.

მუხლი 155. მეფე აქვეყნებს კანონებს შემდეგი ფორმით: N. (მეფის სახელი), ღვთის შემწეობითა და ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციის ძალით, მე, ესპანეთის მეფე ვამცნობ ყველას, ვისაც ეს ეხება, რომ კორტესებმა მიიღო, ხოლო მე დავამტკიცე შემდეგი კანონი (აქ ჩასმული უნდა იყოს კანონის ტექსტი სიტყვასიტყვით): შესაბამისად, ვუბრძანებ ყველა სასამართლოს, მაგისტრს, უფროსს, გუბერნატორს და სხვა სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო ხელისუფალს, წოდებისა და ფუნქციის მიუხედავად, დაიცვას აღნიშნული კანონი და უზრუნველყოს მისი დაცვა და აღსრულება მის ყველა ნაწილში. თქვენ უნდა მიიღოთ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ აღნიშნული კანონი ამოქმედდეს, დაიბეჭდოს და გამოქვეყნდეს (გადაეცემა რამდენიმე დეპარტამენტის მინისტრს).

მუხლი 156. ყველა კანონი, მეფის სახელით, რამდენიმე დეპარტამენტის მინისტრის მიერ გადაეცემა ყველა უზენაეს სასამართლოს, პროვინციების სასამართლოს და სხვა ზემდგომ ორგანოებს, რომლებიც, თავის მხრივ, კანონს გადასცემენ მათდამი დაქვემდებარებულ პირებს.

თავი X. კორტესების მუდმივმოქმედი კომიტეტის შესახებ

მუხლი 157. კორტესები, სხდომის დახურვამდე, ნიშნავს კომიტეტს, რომელსაც ეწოდება კორტესების მუდმივმოქმედი კომიტეტი; იგი შედგება დეპუტაციიდან შერჩეული შვიდი პირისაგან; კერძოდ, მასში შედის: სამი დეპუტატი ევროპის პროვინციებიდან; სამი დეპუტატი ზღვისიქითა (უცხოური) სამფლობელოებიდან; შვიდი დეპუტატი კი წილისყრით აირჩევა ევროპის პროვინციებისა და ზღვისიქითა სამფლობელოების დეპუტაციიდან.

მუხლი 158. კორტესები, ამავედროულად, აღნიშნულ კომიტეტში ნიშნავს ორ უფლებამონაცვლეს, ერთს ევროპის და მეორეს ზღვისიქითა პროვინციებიდან.

მუხლი 159. მუდმივმოქმედი კომიტეტის ფუნქციები გრძელდება ერთი რიგითი კორტესების სხდომის დასრულებიდან კორტესების მეორე სხდომის დაწყებამდე.

მუხლი 160. მუდმივმოქმედი კომიტეტის უფლებამოსილებებია:

1. იმის უზრუნველყოფა, რომ კონსტიტუცია და კანონები სათანადოდ იყოს დაცული, რათა მომდევნო კორტესებს ჩააბაროს ანგარიში ყველა იმ დარღვევის შესახებ, რაც მისთვის გახდა ცნობილი;
2. მოიწვიოს საგანგებო კორტესები კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში;
3. შეასრულოს 111-ე და 112-ე მუხლებში აღნიშნული ფუნქციები;
4. აცნობოს უფლებამონაცვლეებს დეპუტატების მიერ გამოთავისუფლებული ადგილების დაკავების შესახებ, ხოლო პროვინციის დეპუტატებისა და მათი უფლებამონაცვლეების გარდაცვალების ან აბსოლუტური უუნარობის შემთხვევაში, გასცეს სათანადო ბრძანება, რომ აღნიშნულმა პროვინციამ დაიწყოს ახალი არჩევნები.

თავი XI. საგანგებო კორტესების შესახებ

მუხლი 161. საგანგებო კორტესები შედგება იმავე დეპუტატებისაგან, რომლებიც შედიან რიგითი კორტესების შემადგენლობაში იმ ორი წლის ვადაში, რა ვადისთვისაც ხდება მათი არჩევა.

მუხლი 162. დანიშნულ დღეს მუდმივმოქმედი კომიტეტი საგანგებო კორტესებს ინვესტს შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. თუ მეფის ადგილი ვაკანტურია;
2. თუ მეფეს, რაიმე ფორმით, არ აქვს უფლება აიღოს მმართველობის სადავეები, ან თავისი მემკვიდრის სასარგებლოდ უარს ამბობს გვირგვინზე, კომიტეტი, პირველ რიგში, უფლებამოსილია მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დადგინდეს მეფის უუნარობა;
3. თუ კრიტიკულ ვითარებაში ან რაიმე განსაკუთრებულად მძიმე ვითარების გამო მეფე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მოიწვიოს კორტესები, ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს კორტესების მუდმივმოქმედ კომიტეტს.

მუხლი 163. საგანგებო კორტესებზე არ განიხილება სხვა საკითხი, გარდა იმ საკითხისა, რისთვისაც ის იყო მოწვეული.

მუხლი 164. კორტესების საგანგებო სხდომები იწყება და სრულდება იმავე ფორმალობების დაცვით, რაც დადგენილია კორტესების რიგითი სხდომებისთვის.

მუხლი 165. კორტესების საგანგებო სხდომა ხელს არ უშლის ახალი დეპუტატების არჩევას დადგენილ ვადაში.

მუხლი 166. თუ საგანგებო კორტესებმა არ დახურა სხდომა კორტესების რიგითი სხდომებისთვის დანიშნულ დღეს, პირველმა უნდა შეწყვიტოს ფუნქციონირება, ხოლო მეორემ უნდა განაახლოს დებატები იმ საკითხზე, რომელზეც პირველი იყო მონვეული.

მუხლი 167. კორტესების მუდმივმოქმედი კომიტეტი განაგრძობს 111-ე და 112-ე მუხლებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უშუალოდ წინა მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)